საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1828 2016 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკს“ შორის დადებული „თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხელშეკრულების შესახებ

1. „თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №549 დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკს“ შორის დასადები „თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხელშეკრულება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება, საქართველოს

მთავრობის სახელით, მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**